

სანოტარო მოქმედებების, შპს-ს რეგისტრაციის, გარიგების, პრივატიზების ბათილობა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3ვ/ად-484-კ-02

14 ივლისი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა: ბადრი მეტრეველი (თავმჯდომარე),
ვალერი ხრუსტალი,
გიორგი ქაჯაია (მომხსენებელი),
ნინო ქადაგიძე,
ნანა კლარჯეიშვილი,
ბესიკ კობერიძე,
ირაკლი ბიბილაშვილი,
მაია ვაჩაძე,
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი – თამარ შუშიაშვილი

კასატორები (მოპასუხეები): 1. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო (ყოფილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო), წარმომადგენელი – თ. ი.; 2. შპს „შ-ის“ დირექტორი გ. ც., წარმომადგენელი – ნ. ჯ.

მოწინააღმდეგე მხარეები (მოსარჩელები): ლ. გ., ნ. მ., ლ. მ., ვ. გ., მ. ა., წარმომადგენლები: ზ. ხ., და გ. ს.

მოპასუხე – ქ. თბილისის ნოტარიუსი ქ. ო.

მესამე პირები: 1) საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო (ყოფილი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო) – წარმომადგენელი – ი. ჯ.; 2) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – წარმომადგენელი – ზ. ლ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

დავის საგანი – შპს „შ-ის“ რეგისტრაციისა და სანოტარო მოქმედებების, პრივატიზაციის შესახებ მიღებული ადმინისტრაციული აქტებისა და გარიგებების ბათილად ცნობა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

ქ. თბილისში, №...-ში მდებარე საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფირმო მალაზია „ქ“-მა, რომელსაც ეკავა 320 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, 1990 წლის 29 ნოემბერს გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან და შეიძინა საიჯარო საწარმოს სტატუსი.

1991 წლის 10 ივლისს საფირმო მალაზია „ქ“-მა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება გააფორმეს იმ არასაცხოვრებელ ფართზე, რომელშიც იგი ფუნქციონირებდა და რომლის შესაკუთრესაც იმჟამად წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 25 ივლისის განკარგულებით ეს შენობა გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. საიჯარო საწარმო საფირმო მალაზია „ქ“-ის მოიჯარეთა კოლექტივის ბაზაზე დაფუძნდა შპს „შ.“, რომელმაც პირველი სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 1994 წლის 7 ივლისს. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 1995 წლის 3 ივნისს შპს „შ.-ზე“ ძირითადი საშუალებების აქტიურ ნაწილზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გასცა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს თანხმობა განუცხადა „შ.-ის“ კოლექტივისათვის 320 კვ.მ ფართობის პრივატიზაციის თაობაზე.

თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ქსოვილების მალაზიის შრომით კოლექტივს ნება დაერთო, პირდაპირი მიყიდვის წესით, შეეძინა №...-ში მდებარე 320 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი.

1995 წლის 5 მაისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 1995 წლის 30 მაისს ქონების მართვის მთავარ სამმართველოსა და შრომითი კოლექტივის დროებითი ამხანაგობის დირექტორ შ. ც.-ს შორის გაფორმდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და მასში ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა პრეზიდენტის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულება.

1995 წლის 2 ივნისს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარმა სამმართველომ გასცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №..., რომლის მიხედვითაც შპს „შ-ის“ კოლექტივის 13-კაციან ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა 320 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ქსოვილების მალაზია შპს „შ.“, მდებარე ქ. თბილისში, №...-ში.

1998 წლის მარტში შპს „შ-ის“ დამფუძნებელმა პარტნიორებმა: ლ. გ.-მ, ნ. მ.-მ, ლ. მ.-მ, მ. გ.-მ, მ. ა.-მა, ქ. ხ.-მა, გ. ც.-ემ სარჩელით მიმართეს მთაწმინდის რაიონის სასამართლოს შპს „შ-ის“ დირექტორის, შ. ც.-ის, მიმართ შპს „შ-ის“ რეგისტრაციის გაუქმების, წილების ხელახალი გადანაწილებისა და შპს „შ-ის“ ხელახალ რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

მოსარჩელები სარჩელში მიუთითებდნენ, რომ 1995 წლის 20 ივნისს შპს „შ-ის“ პარტნიორთა კრება არ ჩატარებულა და დირექტორმა შ. ც.-მა მათ მოტყუებით მოაწერინა ხელი ცარიელ ფურცელზე, მათთან არ მისულა ნოტარიუსი და მათი ხელმოწერები არ არის დაფიქსირებული სანოტარო რეესტრში.

საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელეთა წარმომადგენელმა ზ. ხ.-მა შეამდგომლობა ადმრა მითითებული პარტნიორთა კრების №... ოქმის გაუქმების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ ამ ოქმში დაფიქსირებული პარტნიორთა წილობრივი მონაცემები ეწინააღმდეგებოდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, შპს – პარტნიორების – შ. ც.-ის წილის ოდენობად მითითებული იყო 85%, ი. ც.-ის – 5%, გ. ც.-ის – 5%, ხოლო დანარჩენი 10 პარტნიორიდან, თითოეულის – 0,05%, რაც საბოლოო ჯამში შეადგენდა 95,5 % და არა 100%-ს. შპს-ს საწესდებო კაპიტალიდან – 16000 აშშ დოლარიდან გამომდინარე, ამ ათი პარტნიორის თითოეულის შენატანის ოდენობა 8 აშშ დოლარს შეადგენდა. მოსარჩელეთა წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული 45.2 მუხლის თანახმად, შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ იგი უნაშთოდ უნდა იყოფოდეს 10-ზე, 8 კი 10-ზე უნაშთოდ არ იყოფა. 45-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ თუ საზოგადოების წესდება ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტები არღვევენ ამ მუხლის წესებს, მთელი წესდება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად. ამავე კანონის 5.8 მუხლის შესაბამისად კი, თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, რეგისტრაცია უქმდება, თუ ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ 1999 წლის 16 თებერვლის განჩინებით შეამდგომლობა არ დააკმაყოფილა, სადავო ოქმში მითითებული 0,05% ჩათვალა მექანიკურ შეცდომად და მიიჩნია 0,5%-ად, როგორც ეს სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებში იყო მითითებული.

შპს „შ.-ის“ პარტნიორებმა და დირექტორმა შ. ც.-მა 1999 წლის 29 ივნისს სასამართლოს შეგებებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს მოსარჩელების შპს „შ.-დან“ გარიცხვის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.5 მუხლის საფუძველზე იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელებმა არ შეასრულეს შპს-ში შესატანი წილის შეტანის ვალდებულება.

1999 წლის 30 აგვისტოს თავდაპირველმა მოსარჩელებმა – ლ. გ.-მ, ნ. მ.-მ და სხვებმა გაადიდეს სასარჩელო მოთხოვნები და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული განცხადებით მოითხოვეს:

1. შპს „შ.-ის“ 1995 წლის 19 აპრილის საოქმო გადაწყვეტილების გაუქმება;
2. შპს „შ.-ის“ დროებითი საპრივატიზაციო ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულების გაუქმება;
3. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის 1995 წლის 26 აპრილის №27.15.500 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
4. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის 1995 წლის 26 აპრილის №27 ოქმის ბათილობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება შპს „შ.-ის“ პრივატიზაციის საკითხს;
5. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1995 წლის 2 ივნისს გაცემული №23/4-პ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილობა;
6. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს „შ.-ის“ ამხანაგობის წარმომადგენელს შორის 1995 წლის 30 მაისს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების და ამ ხელშეკრულებაზე დართული №73 აქტის ბათილობა;
7. შპს „შ.-ის“ 20.06.1995 წლის საოქმო გადაწყვეტილების (ოქმი №5) გაუქმება;
8. შპს „შ.-ის“ რეგისტრაციის შესახებ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 10.07.95წ. №4-435 დადგენილების გაუქმება;

9. მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 ივლისის №4-435 დადგენილებით რეგისტრირებული შპს „შ.-ის“ წესდების გაუქმება;

10. ყველა იმ სანოტარო მოქმედების გაუქმება, რომელიც ნაწარმოებია შპს „შ.-ის“ პრივატიზების დოკუმენტაციაზე.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს: ნ. მ.-ს, ლ. გ.-სა და სხვებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. დაკმაყოფილდა შპს „შ.-ის“ დირექტორის შეგებებული სარჩელი და მოსარჩელები, შპს „შ.-ის“ შვიდი პარტნიორი გაირიცხა დამფუძნებელთა წევრობიდან.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. გ.-მ, ნ. მ.-მ და სხვებმა და მოითხოვეს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ 1999 წლის 14 დეკემბრის განჩინებით დააკმაყოფილა აპელანტთა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ საქმეში არ იყო მოპასუხედ ჩაბმული ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო, ასევე დარღვეული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლისა და 288-ე მუხლის მოთხოვნები და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საქმეში მოპასუხეებად ჩაბმულნი იქნენ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო და ქ. თბილისის ნოტარიუსი ქ. ო., ხოლო მესამე პირებად – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მოპასუხეებმა – შპს „შ.-ის“ დირექტორმა და თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ სარჩელი არ ცნეს იმ მოტივით, რომ სასარჩელო მოთხოვნები იყო ხანდაზმული და ამავე დროს უსაფუძვლო, რადგან ქონების პრივატიზაციის პროცესი იმჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარდა.

სარჩელი არ ცნო ასევე ნოტარიუსმა ქ. ო.-მ და შესაგებელში მიუთითა, რომ მას სანოტარო მოქმედებების შესრულებისას არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეთა წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე დანიშნა გრაფიკული ექსპერტიზა სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის 1995 წლის ნოემბრის თვის №3 რეესტრში არსებულ მოსარჩელეთა ხელმოწერების ნამდვილობის შესამოწმებლად. აღნიშნული ექსპერტიზა დაინიშნა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელები: ვ. გ., ლ. გ., ლ. მ., ნ. მ. და მ. ა. უარყოფდნენ მითითებულ რეესტრში 1995 წლის 10 ნოემბრის თარიღით სააქტო ჩანაწერში 3-3442, 3-3444 მათი სახელით შესრულებული ხელმოწერების მათდამი კუთვნილებას და აცხადებდნენ, რომ ეს ხელმოწერები შესრულებულია სხვა პირის მიერ.

ექსპერტის 2003 წლის 3 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ ხელმოწერები განლაგებული სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის №3-ში რეესტრში, სანოტარო მოქმედების №3-3442, 3-3444, 10.11.95წ. თარიღით, გრაფაში „სანოტარო წესით დამოწმებული საბუთის მიმღების ხელმოწერა“, რ/№4 ა.-ის სახელით-შესრულებულია მ. ვ.-ის ასულ ა.-ის მიერ; რ/№5 მ.-ის სახელით-შესრულებულია ლ. ქ.-ეს ასულ მ.-ის მიერ, რ/№6 გ.-ის სახელით-შესრულებულია ლ. ი.-ეს ასულ გ.-ის მიერ; რ/№7 მ.-ის სახელით-

შესრულებულია ნ. ვ.-ის ასულ მ.-ის მიერ; რ/№8 გ.-ას სახელით-შესრულებულია ვ. გ.-ის ასულ გ.-ას მიერ.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სასარჩელო მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს გასაჩივრებული №27.15-500 გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178-ე ბრძანებულებას, რომლითაც დადგენილია, რომ პირდაპირი წესით მიყიდვის უფლება ეძლევა იმ საწარმოების შრომითი კოლექტივების დროებით ამხანაგობებს, რომლებიც არ წამოადგენენ კერძო სამართლის სუბიექტებს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი დათქმა, მართალია, ბრძანებულებაში უშუალოდ არ არის ფიქსირებული, მაგრამ იგი ამ ნორმატიული აქტის აზრიდან და სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზაციის ინსტიტუტის სოციალური დანიშნულებიდან გამომდინარეობს და ის ფაქტი, რომ სადავო ქონება მაინც ფაქტობრივად აღმოჩნდა სათანადო უფლების მქონე პირთა საკუთრებაში, არ ცვლის გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების შესახებ რაიონული სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ საპრივატიზებო დოკუმენტებზე მოსარჩელეთა ხელმოწერები, რაც თავადაც არ უარყვიათ, სრულებით არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელისათვის მათი უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ 1999 წლის თებერვალში და შესაბამისად, საპრივატიზაციო აქტების ბათილად ცნობის თაობაზე კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა არ გაუშვიათ. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სადავო დოკუმენტებზე მართლაც არის მოსარჩელეთა ხელმოწერები, მაგრამ ამავე დროს არაფრით არ არის უარყოფილი მათი ჩვენებები, რომ ისინი, ენდობოდნენ რა შ. ც.-ს, ხელს აწერდნენ ცარიელ ფურცლებზე. ვინაიდან შ. ც.-მა არ ურყო ის ფაქტი, რომ საპრივატიზაციო დოკუმენტაცია მასთან ინახებოდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელები შესაბამისად, მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, გასცნობოდნენ მის შინაარსს.

სააპელაციო სასამართლომ საბოლოოდ გააკეთა დასკვნა, რომ ვინაიდან არსებობდა შპს „შ.-ის“ შრომითი კოლექტივის დროებითი ამხანაგობისათვის საკუთრებაში ქონების გადაცემის ძირითადი საფუძვლის – ადმინისტრაციული აქტის, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1995 წლის 26 აპრილის №27.15.500 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის პირობები, შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მისგან გამომდინარე ადმინისტრაციული აქტები და გარიგებები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ და შპს „შ.-ის“ დირექტორმა გ. ც.-მა და მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. კასატორები მიუთითებენ, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მესამე პუნქტი, რომლითაც პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია, ასევე არ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-15.2 მუხლით დადგენილი ოქმის გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა. კასატორები მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის საფუძველზეც, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, 2000 წლის 1 იანვრამდე გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტები ბათილად ეცნო. კასატორები მიიჩნევენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, თუ რა გადაწყვიტა და დააკმაყოფილა სასამართლომ.

მესამე პირის – საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს იმ მოტივით, რომ სარჩელი ხანდაზმულია და უსაფუძვლო.

მესამე პირის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა იშუამდგომლა საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსმა ქ. ო.-ემ საქმეში წარმოდგენილი განცხადებით ითხოვა საქმის მის გარეშე განხილვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს (ყოფილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო) და შპს „შ.-ის“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არასრულად არის დასაბუთებული, კერძოდ:

დიდი პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ 1995 წლის 19 აპრილს შედგა ქ. თბილისში, №...-ში მდებარე საიჯარო საწარმო საფირმო მაღაზა „ქ.-ის“ მოიჯარეთა კოლექტივის ბაზაზე დაფუძნებული შპს „შ.-ის“ შრომითი კოლექტივის საერთო კრება, სადაც

შრომითმა კოლექტივმა თანხმობა განაცხადა ესარგებლად ობიექტის პირდაპირი შესყიდვის უფლებით და ამ მიზნით შექმნილიყო საწარმოს მუშაკთა დროებითი ამხანაგობა. იმავე დღეს შპს „შ.-ის“ შრომითი კოლექტივის წევრებს შორის დაიღო სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ამხანაგობის წევრებს შორის მთლიან საპრივატიზებო ქონებაში წილი განაწილდა შემდეგი პროპორციით: შპს „შ.-ის“ დირექტორის, შ. ც.-ის, წილი განისაზღვრა – 85%-ით, გ. ც.-ის წილი – 5%-ით, მოწვეული ფიზიკური პირის – ი. ც.-ის წილი – ასევე 5%-ით, ხოლო ამხანაგობის დანარჩენი 10 წევრის და მათ შორის, მოსარჩელებისა – 0,5%-ით თითოეული მათგანისა.

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1995 წლის 26 აპრილის №27.15.500 გადაწყვეტილებით შრომით კოლექტივს ნება დაერთო, პირდაპირი მიყიდვის წესით შეეძინა, ქ. თბილისში, №...-ში მდებარე 320 მ² არასაცხოვრებელი ფართი.

1995 წლის 5 მაისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 30 მაისს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და მალაზია „შ.-ის“ შრომითი კოლექტივის ამხანაგობის წარმომადგენელს, დირექტორ შ. ც.-ს, შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ არასაცხოვრებელ ფართზე. 1995 წლის 2 ივნისს გაიცა ქსოვილების მალაზია შპს „შ.-ის“ 13-კაციან შრომითი კოლექტივის ამხანაგობაზე საკუთრების დამადასტურებელი №23/4-პ მოწმობა.

1995 წლის 20 ივნისს შედგა შპს „შ.-ის“ პარტნიორთა საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა 13-ვე დამფუძნებელი. საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო წილთა გადანაწილება მალაზიის პრივატიზებისას პარტნიორების მიერ გაწეული დანახარჯების შესაბამისად, შემდეგი პროპორციით: შ. ც.-ის წილი განსაზღვრულიყო – 85%-ით, გ. ც.-სა – 5%-ით, ი. ც.-ისა – 5%-ით, დანარჩენი ათი პარტნიორის – 0,05%-ით თითოეულისა. როგორც აღწერილობით ნაწილშია აღნიშნული, ამ ოქმში ათი პარტნიორის წილად 0,05%-ის მითითება ქ. თბილისის მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 თებერვლის განჩინებით მიჩნეულია მექანიკურ შეცდომად და ამ უკანასკნელთა წილად აღიარებულია 0,5%. ამ გარემოებასთან დაკავშირებით დიდი პალატა აღნიშნავს, რომ შემდგომ შექმნილ შპს „შ.-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტებში, კერძოდ, შპს „შ.-ის“ დამფუძნებელ პარტნიორთა განცხადებასა და წესდებაშიც ამ ათი პარტნიორის წილად მითითებულია 0,5%.

მოსარჩელებმა: ლ. გ.-ემ, ნ. მ.-მ, ლ. მ.-მ, ვ. გ.-მ, მ. ა.-მა სადავო ობიექტის პრივატიზების გაუქმების მოთხოვნით კრწანისი-მთავმინდის რაიონულ სასამართლოს მიმართეს 1999 წლის 30 აგვისტოს, საბოლოოდ კი მათ მიერ გაცხადებულ იქნა შემდეგი მოთხოვნები:

1. შპს „შ.-ის“ 1995 წლის 19 აპრილის საოქმო გადაწყვეტილების გაუქმება;
2. შპს „შ.-ის“ დროებითი საპრივატიზაციო ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულების გაუქმება;
3. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის 1995 წლის 26 აპრილის №27.15.500 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;
4. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს კოლეგიის 1995 წლის 26 აპრილის №27 ოქმის ბათილობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება შპს „შ.-ის“ პრივატიზაციის საკითხს;
5. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1995 წლის 2 ივნისს გაცემული №23/4-პ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილობა;

6. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს და შპს „შ.-ის“ ამხანაგობის წარმომადგენელს შორის 1995 წლის 30 მაისს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულებაზე დართული №73 აქტის ბათილობა;

7. შპს „შ.-ის“ 20.06.1995 წლის საოქმო გადაწყვეტილების (ოქმი №5) გაუქმება;

8. შპს „შ.-ის“ რეგისტრაციის შესახებ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 10.07.95წ. №4-435 დადგენილების გაუქმება;

9. მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 ივლისის №4-435 დადგენილებით რეგისტრირებული შპს „შ.-ის“ წესდების გაუქმება;

10. ყველა იმ სანოტარო მოქმედების გაუქმება, რომელიც ნაწარმოებია შპს „შ.-ის“ პრივატიზების დოკუმენტაციაზე.

ამდენად, მოსარჩევეების მიერ პრივატიზების გაუქმების მოთხოვნა სასამართლოში წარდგენილია ობიექტის პრივატიზების დამთავრებიდან, ანუ 1995 წლის 2 ივნისს №23/4-პ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 4 წელზე მეტი ხნის შემდგომ, 1999 წლის 30 აგვისტოს.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად (1964 წლის რედაქციით), რომელიც სადავო ობიექტის პრივატიზების პერიოდში მოქმედებდა, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრებოდა 3 წლით.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია.

დიდი პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში და კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალურ კანონს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც რეგულირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები და სწორედ ამ კანონის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას წარმოშობილი დავების გადაწყვეტისას. აღსანიშნავია ამ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩევეთა წარმომადგენლის გ. ს.-ის განმარტება რომელმაც სასამართლო პროცესზე მიუთითა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისას გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმით ანუ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამწლიანი ვადა (იხ. სხდომის ოქმი).

დიდი პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მართალია, არ უსპობს პირს სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლებას, მაგრამ წარმოადგენს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს პირის მიერ მოთხოვნის უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას და სასამართლოს მიერ იმ გარემოებების დადგენისას, რომ მოთხოვნა

სასამართლოში წარდგენილია მოცემული დავისათვის კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეთათვის მათი უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ 1999 წლის თებერვალში. სააპელაციო სასამართლო არ უთითებს, თუ რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას. საქმეში არსებული მტკიცებულებები კი სრულიად საწინააღმდეგო გარემოებებზე მიუთითებენ, კერძოდ: მოსარჩელების მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით ხელმოწერილია სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია (თითოეული – რამდენიმე ეგზემპლარად), რომლებიც სადავო ობიექტის პრივატიზებას პირდაპირ ეხება, ესენია: 1) 1995 წლის 19 აპრილს შპს „შ.-ის“ შრომითი კოლექტივის საერთო კრების ოქმი; 2) 1995 წლის 19 აპრილის სადამფუძნებლო ხელშეკრულება ობიექტის პრივატიზების მიზნით დროებითი ამხანაგობის შექმნის შესახებ; 3) 1995 წლის 20 ივნისის შპს „შ.-ის“ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი; 4) შპს „შ.-ის“ დამფუძნებელ პარტნიორთა განცხადება; 5) შპს „შ.-ის“ 1995 წლის 10 ივლისს რეგისტრირებული წესდება. ოთხ მათგანში არაერთგან განსაზღვრულია და მითითებულია წილების ოდენობა, რაც შეადგენდა 0,5%-ს თითოეული მათგანისათვის.

როგორც საკასაციო პალატის, ისე დიდი პალატის სხდომებზე მოსარჩელებმა განმარტეს, რომ მათთვის ობიექტის პრივატიზების ფაქტის შესახებ იმთავითვე იყო ცნობილი, მაგრამ არ იცოდნენ კუთვნილი წილების ოდენობის შესახებ და როდესაც გაიგეს, რომ მხოლოდ 0,5%-ის მფლობელი იყვნენ, მაშინ მიმართეს სასამართლოს.

საქმეში არსებული მოსარჩელების თავდაპირველი სარჩელიდან ირკვევა, რომ მათ სწორედ წილების თაობაზე ჰქონდათ დავა დირექტორთან და არა პრივატიზების უკანონობაზე.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად, თუ კანონში პირდაპირ არა ამის თაობაზე დათქმა, მიიჩნევა ის დღე, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 130).

დიდი პალატა ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მოსარჩელებისათვის ობიექტის პრივატიზების ფაქტის შესახებ იმთავითვე ცნობილი იყო და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლაც 1995 წლიდან უნდა დაიწყოს.

აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სადავო ობიექტის პრივატიზების დასრულებიდან თითქმის 5 თვის შემდეგ მოსარჩელები ნოტარიულად დამოწმებულ ხელწერილში მიუთითებენ ფართის პრივატიზებისას მათი მხრიდან თანხის არგადანდასა და ღირებულების მთლიანად დირექტორის, შ. ც.-ის მიერ დაფარვაზე, სანოტარო რეესტრში ხელმოწერების მათდამი კუთვნილება დადასტურებულია გრაფიკული ექსპერტიზის 2003 წლის 3 აპრილის დასკვნით, რაც ნათლად მიუთითებს, რომ მოსარჩელებისათვის პრივატიზების ფაქტი 1995 წლიდან იყო ცნობილი.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ვინაიდან საპრივატიზებო დოკუმენტაცია ინახებოდა შ. ც.-თან და ამ უკანასკნელმა არ უარყო ეს ფაქტი, მოსარჩელები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას გაცნობოდნენ მის შინაარსს. ეს გარემოება ვერ იქნება მიჩნეული იმ ფაქტის მტკიცების საფუძველად, რომ მოსარჩელებს დაინტერესების შემთხვევაში არ ჰქონდათ საშუალება სხვა გზით მოეძიათ მათთვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც გარდა დირექტორისა, ინახებოდა ქ. თბილისის სახელმწიფო

ქონების მართვის სამმართველოშიც. ამავე დროს თავად შ. ც. თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ საპრივატიზაციო დოკუმენტები, როდესაც მოსთხოვეს მოსარჩელებმა, მაშინ მისცა, მანამდე არ მოუთხოვიათ. აღნიშნულთან დაკავშირებით დიდი პალატა განმარტავს, რომ თუ პირმა თავისი დაუდევრობის ან გულგრილობის გამო (რასაც ადგილი აქვს კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მხრიდან) ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

დიდი პალატა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ მოსარჩელებს არ გადაუხდიათ სადავო ობიექტის პრივატიზებაში თანხა და იგი მთლიანად აწ გარდაცვლილმა შ. ც.-მა დაფარა. აღნიშნულს ადასტურებს ზემოთ აღნიშნული მოსარჩელების მიერ სადავო ობიექტის პრივატიზების განხორციელებიდან 5 თვის შემდეგ, 1995 წლის 10 ნოემბერს ნოტარიუსის თანდასწრებით შედგენილი ხელწერილი, სადაც მიუთითებენ, რომ მათ არასაცხოვრებელი სადავო ფართის პრივატიზების ღირებულება არ გადაუხდიათ და იგი გადაიხადა შპს „შ.-ის“ დირექტორმა შ. ც.-მა. ერთ-ერთი ყოფილი მოსარჩელე, აწ გარდაცვლილი გ. ც. ასევე ადასტურებს 1997 წლის 28 ნოემბრის ხელწერილით, რომ არასაცხოვრებელ ფართის გამოსყიდვაში თანხა არ გადაუხდია და შპს „შ.-ის“ საკუთრებაზე რაიმე მოთხოვნა არა აქვს.

დიდი პალატა ვერ გაიზიარებს მოსარჩელეთა არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ისინი ენდობოდნენ შ. ც.-ს და სუფთა ფურცლებზე აწერდნენ ხელს. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელებს, თუნდაც არ სცოდნოდათ ობიექტის პრივატიზების შესახებ (თუმცა დიდი პალატა დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას რომ მოსარჩელებმა იმთავითვე იცოდნენ შენობის პრივატიზების თაობაზე), ნდობის რისკი მოცემულ შემთხვევაში თავად მოსარჩელებზე გადადის. შესაბამისად, დიდი პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ არაფრით არ არის უარყოფილი მოსარჩელეთა ჩვენებები, ენდობოდნენ რა შ. ც.-ს, ხელს აწერდნენ ცარიელ ფურცლებზე. ნოტარიუსი ქ. ო., რომლის მიერ არის დამოწმებული სადავო დოკუმენტაცია, თავის შესაგებელში კატეგორიულად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელების მიერ ხელმოწერები დოკუმენტებზე მისი თანდასწრებით შესრულდა.

დიდი პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ქ. თბილისის ქონების მართვის მთავარი სამმართველოს 1995 წლის 26 აპრილის №2715.500 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა შპს „შ.-ის“ “ შრომითი კოლექტივის საერთო კრების 1999 წლის 19 აპრილის საოქმო გადაწყვეტილებისა და იმავე დღეს გაფორმებული შპს „შ.-ის“ დროებითი საპრივატიზაციო ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულების ბათილობას იწვევს, რადგან აღნიშნული დოკუმენტაცია ბათილად ცნობილ გადაწყვეტილებაზე ადრეა შექმნილი.

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მითითებული საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უსაფუძვლო და ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელები ტ.1 ს.ფ. 8-9-ზე არსებულ განცხადებაში თავად აღიარებენ კრების ჩატარების ფაქტს, ამავე დროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.2 მუხლით დაწესებული პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ორთვიანი ვადა. იმავე საფუძვლით ვერ იქნება გაზიარებული მოსარჩელეთა მოთხოვნა შპს „შ.-ის“ პარტნიორთა 1995 წლის 20 ივნისის კრების საოქმო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. ასევე ხანდაზმულია შპს „შ.-ის“ დროებითი საპრივატიზაციო ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და შპს „შ.-

ის“ პრივატიზების დოკუმენტებზე ნაწარმოები სანოტარო მოქმედებების გაუქმების მოთხოვნაც, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადა 3 წელია.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დიდი პალატა თვლის, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები სადავო ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტებისა და გარიგებების ბათილად ცნობის ნაწილში, ხანდაზმულია და ამ საფუძველით უარი უნდა ეთქვას მათ დაკმაყოფილებაზე.

დიდი პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელეთა მოთხოვნას შპს „შ.-ის“ რეგისტრაციის შესახებ მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 ივლისის №4-435 დადგენილებისა და ამ დადგენილებით რეგისტრირებული შპს „შ.-ის“ წესდების გაუქმების მოთხოვნას, რადგან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი და არც თავად მოსარჩელები უარყოფენ შპს „შ.-ის“ დამფუძნებელ პარტნიორთა განცხადებასა და წესდებაზე მათი ხელმოწერების ნამდვილობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ პირი, რომელიც დებს უცვილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება როგორც გარიგების ხელახალი დადება. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნული დადგენილებისა და შპს „შ.-ის“ წესდების გაუქმების საფუძველიც. დიდი პალატა აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.8 მუხლი რაიმე ხარვეზის არსებობისას საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობად ითვალისწინებს ვადის მიცემას შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად და ვადის მიუცემლად რეგისტრაციის გაუქმება არ დაიშვება.

დიდი პალატა აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გაურკვეველს ტოვებს ძირითად საკითხს – რა გადაწყვეტა სასამართლომ და რა უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილებით აღსრულებული, ანუ ფაქტობრივად, სარეზოლუციო ნაწილის გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული, კერძოდ, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის გამოც გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული. აღნიშნული გარემოება კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებანი სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დიდი პალატა თვითონ მიიღებს საქმეზე გადაწყვეტილებას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა (ყოფილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო) და შპს „შ.-ის“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „შ.-ის“ დამფუძნებელი პარტნიორების: ლ. გ.-ის, ნ. მ.-ის, ლ. მ.-ის, ვ. გ.-ს, მ. ა.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელეებს თანაბარწილად დაეკისროთ შპს „შ.-ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივრის შეტანისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 360 (სამას სამოცი) ლარის გადახდა;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.